ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 170

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის №44–442305377 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის (პირადი №60003004805) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ცისფერყანწელების ქუჩა №9-11-ში, ქალაქ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა №1-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.02.500; ფართობით 302.44 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.02.501; ფართობით 165.21 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.03.500; ფართობით 299.22 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.03.501; 39.80 კვ.მ. და საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.04.500; ფართობით 41.77 კვ.მ.) 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო

მიერ წარმოდგენილი დასკვნის (03.02.2023 წელი, №000775823) მიხედვით, რომელიც შეადგენს 176280.00 (ას სამოცდათექვსმეტი ათას ორას ოთხმოცი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქე ლია კიკალიშვილი (პირადი №60003004805) ვალდებულია, წლიური სარგებლობის ქირის გადახდა დაიწყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის შემდეგ.

მუხლი 4. წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, ყოველი 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

მუხლი 5. მოქალაქე ლია კიკალიშვილი (პირადი №60003004805) ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში, ქონების მესაკუთრესთან შეთანხმებით, სარგებლობაში გადაცემულ ქონებაში (ქალაქ ქუთაისში, ცისფერყანწელების ქუჩა №9-11-ში, ქალაქ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართები (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.02.500; ფართობით 302.44 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.02.501; ფართობით 165.21 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.04.500; ფართობით 41.77 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.03.501; 39.80 კვ.მ. და საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.417.03.500; ფართობით 299.22 კვ.მ.) განახორციელოს არანაკლებ 200 000.00 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია, მისი რეაბილიტაციის მიზნით.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია